A
7091

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ასმათ დიასამიძე

# ინტელექტის თვისებების ადიექტიური ნომინაცია ქართულსა და გერმანულ ენებში

სპეციალობა - 10.02.19 ენათმეცნიერების თეორია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 1992

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ც. გოგლიჩიძე

ოფიციალური ოპონენტები – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ა. ონიანი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ნ. გოგოლაშვილი

წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი

დაცვა შედგება "4" მაისს 1992 წ. $2^{00}$ საათზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სპეციალიზირებული საბჭოს დ. 057.03.08 სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №1

ავტორეფერატი დაიგზავნა "23" იანვარს 1992 წ.

დისერტაციას შეიძლება გაეცნოთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სპეციალიზირებული საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გ. წიბახაშვილი

თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური მოთხოვნაა ენობრივ ერთეულთა შინაარსობრივი ასპექტის შესწავლა, როგორც საკუთრივ სემანტიკური, ისე პრაგმატული კუთხით. სწორედ ამ მოთხოვნამ დაუდო სათავე ტრადიციული ლინგვისტური კატეგორიების თეორიული გადააზრების პროცესს, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია შეუწყვეტელი ინტენსივობით მიმდინარეობს და ლინგვისტურ პრაქტიკაში ერთიანი – სემანტიკურ-პრაგმატული – მიდგომის დამკვიდრებას ემსახურება. უკანასკნელ ხანს ეს მიდგომა ენათა შეპირისპირებით კვლევაზეც გავრცელდა, რის შედეგადაც ამ სფეროში ახალი, საკმაოდ პერსპექტიული მიმართულება დაისახა. ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევა ამ მიმართულების ათვისების ერთ-ერთი ნიმუშია: მასში შეთანადებულია ადამიანის ინტელექტის თვისებათა აღმნიშვნელი კონკრეტული ლექსიკური ქვესისტემის სემანტიკური და კომუნიკაციურ-პრაგმატული განზომილებები თანამედროვე ქართულსა და გერმანულ ენებში. აღნიშნული ზოგადმეთოდოლოგიური მომენტი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სადისერტაციო ნაშრომის <u>აქტუალობას</u>. ამას გარდა, მასში გათვალისწინებულია ის ძალზე საყურადღებო ტენდენცია, რომელიც თვალნათლივ იკვეთება უახლეს ლინგვისტურ შრომებში: მხედველობაში გვაქვს "სამყაროს ენისმიერი ხატის" ჰუმბოლდტისეული ცნების ჩართვა თანამედროვე ენათმეცნიერების კონტექსტში, რაც ემსახურება, ერთი მხრივ, ენაში ე.წ. "ადამიანის ფაქტორის" გამოვლენას, ხოლო მეორე მხრივ – ენის შინაგანი ორგანიზაციის გარკვეული ასპექტების ინტერპრეტაციას ხალხის ეროვნულ ფსიქოლოგიასთან მიმართებაში.[1]

ნაშრომის <u>სიახლე</u> აისახება შემდეგში: თუმცა ინტელექტის თვისებათა აღმნიშვნელი ადიექტიური სახელდებანი გერმანულ ენაში არაერთგზის ყოფილა შესწავლილი /ი. ტრირი, ლ. ვაისგერბერი, ვ. მოჩი და სხვ./, მათი

---

1. იხ. კოლექტიური მონოგრაფია: „Роль человеческого фактора в языке. Язык и картина мира" (М., 1988), ბ.ა. სერებრენიკოვის „Роль человеческого фактора в языке. Язык и мышление" (М., 1988). აგრეთვე სადისერტაციო ნაშრომები, რომლებიც შესრულდა უკანასკნელ წლებში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე პროფ. მ. ნათაძის ხელმძღვანელობით.